საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № ი-373

ქ. თბილისი "10" 07 2009 წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი „გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის 56-ე კმ-ზე მდ. ყვირილაზე დაზიანებული ხიდის ნაცვლად კაპიტალური სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის" ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 30.06.09წ. №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის თანდართული დასკვნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ „გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის 56-ე კმ-ზე მდ. ყვირილაზე დაზიანებული ხიდის ნაცვლად კაპიტალური სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტზე";
2. ამ ბრძანების პირველი პუქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოქმედების ვადა – უვადო;
3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;